

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:

სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია

ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:

060504

ქვეპროგრამის დასახელება:

ბავშვთა ადრეული განვითარება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

დასახელება	2017 წელი
ა/რ ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები	233,280
სულ ბიუჯეტი:	233,280

ქვეპროგრამის მიზანი:

გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა

ქვეპროგრამის აღწერა:

გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე / წლამდე ასაკის ბავშვების ადრეული განვითარების დარღვევების იდენტიფიცირება ბავშვის სოციალური, მოტორული, შემეცნებითი, კომუნიკაციური და თვითმოვლითი უნარების განვითარება მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ (ადრეული განვითარების სპეციალისტი, ლოგოპედი, ფსიქოლოგი, სპეციალური პედაგოგი) მომსახურების გაწევა (თვეში არანაკლებ 8). ამასთან 3 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის მხოლოდ ინდივიდუალურ მომსახურება ხოლო 3 წლის ასაკის შემთხვევაში ჯგუფურ მომსახურებაც (არაუმეტეს თვეში 4). სამიზნე ჯგუფისთვის გაწეული მომსახურება ანაზღაურდება არაუმეტეს 144 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამით გაწეული მომსახურება ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ მომსახურების ღირებულების 100%-ით. პაციენტებს ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მიეწოდება პაციენტის ინდივიდუალური განვითარების გეგმის შესაბამისად.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფებს მიეკუთვნება გონებრივი განვითარების შეფერხების (დაუნის სინდრომი, ცერებრული დამბლა აუტიზმი, განვითარების ზოგადი აშლილობა, მეტყველების განვითარების აშლილობა, გონებრივი ჩამორჩენილობა) მქონე 7 წლამდე ასაკის ბავშვები.

ქვეპროგრამის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ვაუჩერის გაცემის მომენტში, გარდა ქ. ბათუმი რეგისტრირებული მოქალაქეებისა და არ არიან ჩართული ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამაში.

ქვეპროგრამა განხორციელდება სოციალური ვაუჩერის საშუალებით. ქვეპროგრამაში ჩართვა განხორციელდება მომართვიანობის მიხედვით მომსახურების მიღების უპირატესი უფლების დაცვით.

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურების მიღების უპირატესი უფლებით სარგებლობენ (რიგითობის დაცვით):

1. ბენეფიციარები, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში 0-დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულით;
2. თუ ოჯახში ერთზე მეტ ბავშვს ესაჭიროება დახმარება ქვეპროგრამის ფარგლებში;
3. მრავალშვილიანი ოჯახის წევრები.

ვაუჩერის გაცემის საფუძველს წარმოადგენს:

- ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ - ფორმა №IV-100/ა, სადაც მითითებული უნდა იყოს დიაგნოზი ICD-10 მიხედვით და ადრეული განვითარების საჭიროება;
- ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია ბავშვის იდენტიფიკაცია;
- მშობლის ან ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ან სხვა დოკუმენტი, რომლითაც შესაძლებელია პირის იდენტიფიკაცია (კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში, ასევე კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი);
- შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი ცნობის ასლი (არსებობის შემთხვევაში);
- ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან (არსებობის შემთხვევაში).

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
განვითარების სტიმულირების მომსახურების დაფინანსება	135	1,728	233,280
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი			233,280

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებების შერჩევა	X	X	X	X
ბენეფიციართა განცხადებების მიღება	X	X	X	X
განცხადებების განხილვა	X	X	X	X
ვაუჩერის გაცემა	X	X	X	X

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი

გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების სოციალური ინტეგრაციის ამაღლება.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების სოციალური ინტეგრაციის ამაღლება	ბენეფიციართა დაკმაყოფილების მაჩვენებელი	90%	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტი	წელიწადში ერთხელ	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების ანალიზი